



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030124712930021

№ 01-460/თ

17 / ნოემბერი / 2021 წ.

„ბრონქული ასთმის გამწვავების მართვა ამბულატორიასა და ჰოსპიტალში“, „ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (ფქოდ-ის) გამწვავების მართვა ამბულატორიასა და ჰოსპიტალში“, „გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (გსდ) რისკის შეფასება და მართვა“, „სპირომეტრული გამოკვლევის პროცედურა“ დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 28 აგვისტოს №01-53/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. „ბრონქული ასთმის გამწვავების მართვა ამბულატორიასა და ჰოსპიტალში“, „ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების (ფქოდ-ის) გამწვავების მართვა ამბულატორიასა და ჰოსპიტალში“, „გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (გსდ) რისკის შეფასება და მართვა“, „სპირომეტრული გამოკვლევის პროცედურა“ დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 28 აგვისტოს №01-53/თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. ბრძანების:

ა) პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ²“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:“;

ბ) პირველი პუნქტით დამტკიცებული „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - „გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (გსდ) რისკის შეფასება და მართვა“ (დანართი №3);“.

2. ბრძანებით დამტკიცებული დანართი № 3 (კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - „გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (გსდ) რისკის შეფასება და მართვა“) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

